



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 124

2011 წლის 30 სექტემბერი  
ქალაქი ხაშური

„შიდა ქართლის დღეების“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 27 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110024945) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „შიდა ქართლის დღეების“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 30 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ღონისძიების ჩატარებამდე, 2 ოქტომბრამდე, რჩება ორი დღე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს „შიდა ქართლის დღეების“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარდგენის მიზნით ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

